

XIII დანართი

მოხსენიებულია მუხლში 5.21

ენერგეტიკის სფეროში მომსახურება

XIII დანართი

მოხსენიებულია მუხლში 5.21

ენერგეტიკის სფეროში მომსახურება¹

მუხლი 1

მოქმედების სფერო

ეს დანართი ეხება იმ ზომებს, რომლებიც გავლენას ახდენს ენერგეტიკის სფეროში მომსახურებით ვაჭრობაზე, მიუხედავად ენერჯის წყაროს წარმომავლობისა, გამოყენებული ტექნოლოგიისა, ენერჯის წყაროს განახლებადობის თუ არაგანახლებადობისა, და მომსახურების ხმელეთზე თუ ოფშორში საქმიანობის ფარგლებში მიწოდებისა.

მუხლი 2

განმარტებები

წინამდებარე დანართის მიზნებისთვის, „ენერგეტიკის სფეროში მომსახურება“ გულისხმობს მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია ენერჯის ან ენერგორესურსების კვლევა-ძიებასთან, განვითარებასთან, წარმოებასთან ან განაწილებასთან, რამდენადაც მომსახურება მიეწოდება ენერგეტიკულ კომპანიებს, პირდაპირ ან არაპირდაპირ მათი კონტრაქტორების ან ქვეკონტრაქტორების მეშვეობით.

¹

ეს მუხლი არ ვრცელდება შვეიცარიაზე.

მუხლი 3

ენერგორესურსებზე სუვერენიტეტი

1. მხარეები აღიარებენ ენერგორესურსებზე სახელმწიფო სუვერენიტეტს და სუვერენულ უფლებებს. ისინი ადასტურებენ, რომ ასეთი უფლებები უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სამართლის წესების შესაბამისად.
2. ენერგომომხმარებასთან დაკავშირებული მომსახურებით ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნისთვის ზიანის მიუყენებლად, ხელშეკრულებამ არანაირად არ უნდა შეზღუდოს შესაბამის მხარეთა ენერგორესურსების საკუთრების ფლობის სისტემის წესები.
3. თითოეული მხარე იტოვებს უფლებას განსაზღვროს, თუ რომელ გეოგრაფიულ არეალში განხორციელდება მისი ენერგორესურსების კვლევა-ძიება, განვითარება და ექსპლუატაცია, მათი აღდგენის ოპტიმიზაცია და მათი ამოწურვის და სხვაგვარად ექსპლუატაციის ნორმა, განსაზღვროს და მიიღოს გადასახადები, სალიცენზიო მოსაკრებლები ან სხვა ფინანსური გადასახადები ასეთი კვლევის და ექსპლუატაციის შედეგად, და დაარეგულიროს ასეთი კვლევის გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ასპექტები და მიიღოს მონაწილეობა ასეთ კვლევა-ძიებასა და ექსპლუატაციაში, მათ შორის, ხელისუფლების უშუალო მონაწილეობით ან სახელმწიფო საწარმოების მეშვეობით.

მუხლი 4

რეგულირების უფლება

1. წინამდებარე ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად, თითოეული მხარე იტოვებს უფლებას დაარეგულიროს, დანერგოს და შეინარჩუნოს ზომები, რომელიც გავლენას ახდენს ენერგომომხმარებასთან დაკავშირებული მომსახურებით ვაჭრობაზე ლეგიტიმური ეროვნული პოლიტიკის მიზნების მიღწევისათვის. ყველა ასეთი ღონისძიება უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, გამჭვირვალე და ობიექტური.
2. სალიცენზიო მოთხოვნებთან და პროცედურებთან, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროცედურებთან და ტექნიკურ სტანდარტებთან დაკავშირებით მხარეთა მიერ მიღებული ზომები, რომელიც გავლენას ახდენს ენერგეტიკის სფეროში მომსახურებით ვაჭრობაზე, განისაზღვრება წინასწარ და ქვეყნდება ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე და არის იმ მომსახურების მიწოდების შესაბამისი, რომელზეც ისინი ვრცელდება.

3. მხარეები მუშაობენ შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებასა და გამოყენების შესაბამისი პროცესების მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება ტექნიკური სტანდარტების დაცვა და არსებობს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები ან მათი შესრულება აუცილებელია, თითოეული მხარე, ტექნიკური სტანდარტების ჩამოყალიბებისას, მაქსიმალურად უნდა ეცადოს გაითვალისწინოს მათი შესაბამისი ნაწილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი საერთაშორისო სტანდარტების ან მათი შესაბამისი ნაწილი იქნება არაეფექტური ან შეუსაბამო ეროვნული პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად.
